

BioTopic



ბიომრავალფეროვნების დაცვის ეროვნული სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა

1994 წელს, გაერთიანებული ერების ბიომრავალფეროვნების კონვენციის (UN-CBD) რატიფიცირებით, საქართველომ გამოხატა ნება, დაეცვა ქვეყნის ბიომრავალფეროვნება, უზრუნველყო მისი მდგრადი გამოყენება და ბიომრავალფეროვნებით მიღებული სარგებლის სამართლიანი განაწილება. კონვენციის რატიფიცირებით წვერი ქვეყნები ვალდებული იყვნენ, შეიმუშაონ ბიომრავალფეროვნების დაცვის ეროვნული სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა (ბდესმგ) და უზრუნველყონ აღნიშნული დოკუმენტის ასახვა ყველა იმ სფეროს საქმიანობაში, რომელსაც პოზიტიური თუ ნეგატიური გავლენის მოხდენა შეუძლია ბიომრავალფეროვნებაზე. საქართველომ მისი პირველი ბდესმგ 2005 წელს შეიმუშვა. დოკუმენტის ძალაში შესვლის დღიდან, მისით გათვალისწინებული მრავალი ქმედება განხორციელდა სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების, საერთაშორისო დონორებისა და აღმასრულებელი სააგენტოების, ასევე კერძო სექტორის მიერ.

ბიომრავალფეროვნების დაცვის მეორე ეროვნული სტრატეგიისა

და მოქმედებათა გეგმის შემუშავების მიმართულებით

ბიომრავალფეროვნების კონვენციის მხარეთა მეათე კონფერენციაზე (იაპონია) წვერი ქვეყნებს ეთხოვათ არსებული ბდესმგ-ს გადასინჯვა კონვენციის "ბიომრავალფეროვნების სტრატეგიული გეგმა 2011-2020"-ის მიხედვით და ბიომრავალფეროვნების 20 კონკრეტული მიზნის (აიჩის ბიომრავალფეროვნების მიზნები) შესაბამისი ეროვნული მიზნების დასახვა. მხარეთა შეხვედრაზე საქართველომ ვალდებული იქნა, მოახდინოს ბიომრავალფეროვნების ეროვნული სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმის რევიზია/განახლება და 2015 წლისათვის მისი, როგორც პოლიტიკურ ინსტრუმენტის მიღება. საქართველომ გარემოს დაცვის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და დაცვის სამსახურმა, 2011 წლის მაისში, გერმანიის საერთაშორისო საზოგადოების (GIZ) პროექტ "ბიომრავალფეროვნების მდგრადი მართვისა" და საერთაშორისო მიგრაციისა და განვითარების ცენტრის (CIM) ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახურში დასაქმებული ექსპერტის მხარდაჭერით, წამოიწყო ბდესმგ-ს განახლების პროცესი.

1. მონაწილე მხარეები და ორგანიზაციული მოწყობა

ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახური (ბდს): გარემოს დაცვის სამინისტროს ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახური წარმოადგენს პასუხისმგებელ ორგანოს ბდესმგ-ს შემუშავებაზე, რეგულარულ რევიზიასა და განხორციელებაზე.

ბდესმგ-ის საკოორდინაციო საბჭო (ბდესმგ სს): ბდესმგ-ს გადახედვა-განახლებაში ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახურის დახმარების მიზნით, 2011 წლის მარტში, გარემოს დაცვის მინისტრის ბრძანებით, დაფუძნდა საკოორდინაციო საბჭო, ბიომრავალფეროვნების ექსპერტების შემადგენლობით.

ბდესმგ-ის სამდივნო: სამდივნო შეიქმნა ბდესმგ სს-ს დახმარების მიზნით ტექნიკურ და საორგანიზაციო საკითხებში. სამდივნო ორგანიზებას უწევს სამუშაო შეხვედრებს და აქვეყნებს რევიზიის პროცესში შემუშავებულ მასალას.

ნომინირებული ორგანიზაციები: 2011 წლის დეკემბერში ბდესმგ სს-მ მომავალი ბდესმგ-ს ცალკეული თემატური კომპონენტის შესაქმნელებლად კვალიფიციური ორგანიზაციები შეარჩია.



Federal Ministry
for Economic Cooperation
and Development





2. პროცესი

ბიომრავალფეროვნების დაცვის მომავალი ეროვნული სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმის ზოგადი სტრუქტურა შედგება 11 თემატური კომპონენტისაგან, რომელთა განსაზღვრაც 2011 წლის ივლისში მოხდა დაინტერესებულ მხარეთა სამუშაო შეხვედრაზე.

ბიომრავალფეროვნების კონვენციის მოთხოვნათა თანახმად, თითოეული კომპონენტი უნდა შეიცავდეს

პროცესს კოორდინაციას ზემოაღნიშნული შესაბამისი კვალიფიციური ორგანიზაციები გაუწევენ.

დაინტერესებულ მხარეთა იდენტიფიცირება და პროცესში ჩართვა: იმის უზრუნველსაყოფად, რომ მომავალი ბდესმგ ასახულ იქნას საქართველოში ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების მქონე ყველა სექტორის საქმიანობაში, მოხდა ყველა დაინტერესებულ მხარის ინდეტიფიცირება და რევიზიის პროცესში აქტიურად ჩართვა. დაინტერესებულ

ბიომრავალფეროვნების შეფასება ეფუძნება უკვე არსებული ცოდნის მარაგს ბიომრავალფეროვნების მდგომარეობასა და ტენდენციებზე, ბიომრავალფეროვნების კლების გამომწვევ ფაქტორებზე, შესაბამის სტრატეგიებზე, კანონებზე, პოლიტიკასა და პროგრამებზე, ასევე გამოცდილებაზე, ხარვეზებსა და ჯერაც დაუქმყოფილებელ საჭიროებებზე. ამდენად, ბიომრავალფეროვნების შესფასება რევიზიის პროცესის საკვანძო ეტაპია, ვინაიდან სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმის განახლების საფუძველს ქმნის. 2012-ის აპრილში შეფასების პროცესი დაინტერესებულ მხარეთა დასკვნითი სამუშაო შეხვედრით დასრულდება.

პერსპექტივა: სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმის შემუშავება. ბიომრავალფეროვნების შეფასების შედეგებზე დაყრდნობით, ბიომრავალფეროვნების სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმის შემუშავება დაიწყება. სტრატეგიამ უნდა წარმოაჩინოს ის პრიორიტეტები და კურსი, რომლითაც საქართველო, ბიომრავალფეროვნების დაცვისა და მგდრადი გამოყენების სფეროში, მომდევო 5 წლის განმავლობაში იხელმძღვანელებს. ამიტომ მომავალი ბდესმგ-ს პრიორიტეტები, პრინციპები და კონკრეტული მიზნები დეტალურ განსაზღვრასა და შეჯერებას მოითხოვს. ეს პროცესი "ბიომრავალფეროვნების სტრატეგიული გეგმა 2011-2020-ის" 5 სტრატეგიული მიზნისა და მხარეთა მეთე კონფერენციზე მიღებული ბიომრავალფეროვნების აიჩის 20 მიზნის გათვალისწინებით უნდა წარიმართოს. საბოლოოდ კი სტრატეგიის პრინციპები და პრიორიტეტები უნდა გარდაიქმნას მოქმედებათა კონკრეტულ პაკეტად, რომელიც განხორციელებისათვის წინასწარ დადგენილ ვადაში შესრულდება. პროცესის დასრულება 2012 წლის ბოლოსათვის იგეგმება.

თემატური კომპონენტები	შერჩეული ორგანიზაცია
სახეობებისა და ჰაპიტატების კონსერვაცია	ნაკრესი
დაცული ტერიტორიები	WWF
სასოფლო-სამეურნეო ბიომრავალფეროვნება	ელკანა
ბიოლოგიური რესურსების შეფასება და მდგრადი გამოყენება	ნაკრესი
ბიოუსაფრთხოება	RECC
საზოგადოების ჩართულობა და განათლება	Eco-Vision
ბიომრავალფეროვნება და კლიმატის ცვლილება	ნაკრესი
ბიომრავალფეროვნების მართვა	RECC
ტყის ბიომრავალფეროვნება	WWF
შიდა წყლების ბიომრავალფეროვნება	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
შავი ზღვის ბიომრავალფეროვნება	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

სიტუაციის ანალიზს (ბიომრავალფეროვნების შეფასებას), სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმას. თემატურ კომპონენტებზე მუშაობა საკონსულტაციო პროცესის სახით წარიმართება, სხვადასხვა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით.

მხარეებს წარმოადგენენ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც უშუალოდ მუშაობენ ბიომრავალფეროვნების საკითხებზე; ასევე სხვა სამთავრობო უწყებები და კერძო სექტორი.

ბიომრავალფეროვნების შეფასება:

Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH

Sustainable Management of Biodiversity South Caucasus
6, Gulua St, 6th fl.
0114 Tbilisi, Georgia
T +995-32-2201828

გარემოს დაცვის სამინისტრო

ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახური
გულუას 6
0114 თბილისი, საქართველო
ტელ: +995-32-727231

ტექსტი: ქრისტინე შტრაუბი
ფოტოები: © GIZ/ქრისტინა გონერი
დიზაინი: © GIZ
ბეჭდვა: პოლარის პრინტი, თბილისი

05.2012